

Hermi v. Italy

ჰერმი იტალიის წინააღმდეგ

დიდი პალატა

საჩივარი N 18114/02

გადაწყვეტილება 18.10.2006

დიდი პალატა

ფაქტები: მომჩივნის წინააღმდეგ ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით სამართალწარმოება მიმდინარეობდა, მისი მოთხოვნით, გამარტივებული სამართალწარმოების ფარგლებში. იგი მსჯავრდებული იქნა შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში დახურულ სხდომაზე. პირველი ინსტანციის წინაშე საქმისწარმოების დროს, იგი პროცესში მონაწილეობდა ადვოკატებთან ერთად. მას სააპელაციო განხილვის შესახებ აცნობეს მსჯავრის დადების შემდეგ, ციხეში ყოფნისას. იგი სააპელაციო განხილვას არ დასწრებია ხოლო მისმა ადვოკატმა გაასაჩივრა მისი არყოფნის დროს საქმისწარმოების გაგრძელება.

სამართალი

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

34. მომჩივანი დავობდა, რომ მან ვერ შეძლო მონაწილეობა მიეღო 2000 წლის 3 ნოემბრის რომის სააპელაციო სასამართლო პროცესში. იგი დაეყრდნო კონვენციის მე-6 მუხლს, რომლის შესაბამისი ნაწილების თანახმადაც:

„1. მის წინააღმდეგ წაყენებული ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების დადგენისას, ყველას აქვს სამართლიანი ... სასამართლოს მიერ... საქმის განხილვის უფლება“...

3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

ა. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ. ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

გ. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების

ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ. თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, და გამოამახვილოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში;

ე. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე..

A. პალატის გადაწყვეტილება

35. პალატამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას. მან მიიჩნია, რომ მომჩივანს უფლება ჰქონდა გამოცხადებულიყო და დაეცვა თავი რომის სააპელაციო სასამართლოს წინაშე, რადგან ეს უკანასკნელი გამოამახვილებული იყო როგორც ფაქტების ასევე სამართლებრივი საკითხების გამოსაკვლევად. პალატას არა მხოლოდ უნდა მიეღო გადაწყვეტილება ბრალდებულის ადვოკატის მიერ წამოყენებული არაკონსტიტუციურობის ან ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, არამედ ასევე, უნდა შეეფასებინა იყო თუ არა პირველი ინსტანციის წინაშე წარდგენილი მტკიცებულებები საკმარისი გამამტყუნებელი განაჩანის გასამართლებლად.

36. პალატამ ასევე მიიჩნია, რომ არსებობდა სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, გაიგო თუ არა მომჩივანმა შეტყობინების შინაარსი, რომელიც აცნობებდა მას პროცესის თარიღის შესახებ. პალატამ აღნიშნა, რომ შეტყობინება არ იყო ნათარგმნი არცერთ ენაზე, რომლებზეც მომჩივანი აცხადებდა, რომ საუბრობდა (არაბული და ფრანგული). ასევე არ იყო დადგენილი, ესმოდა თუ არა და თუ კი, რა დონეზე ესმოდა მომჩივანს იტალიური და რამდენად შეეძლო გაეგო გარკვეული სირთულის სამართლებრივი დოკუმენტის მნიშვნელობა.

37. საბოლოოდ, პალატის აზრით, წინამდებარე საქმეში არ დადგენილა, რომ მომჩივანმა უარი თქვა გამოცხადების უფლებით სარგებლობაზე. მომჩივანი, რომელიც ესწრებოდა პირველი ინსტანციის სხდომას, ლოგიკურად მოელოდა, რომ იგივე მოხდებოდა სააპელაციო საქმისწარმოებისას. გარდა ამისა, 2000 წლის 3 ნოემბერს მომჩივნის ადვოკატმა მოითხოვა ბ-ნი ჰერმის ციხიდან სხდომის დარბაზში მოყვანა. ამით, მან ნათლად გამოხატა მოპასუხის სურვილი მონაწილეობა მიეღო სააპელაციო განხილვაში.

C. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

(a) სხდომის პროცესში მონაწილეობის უფლება

58. სამართლიანი სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებული გამოცხადდეს საკუთარ სასამართლო პროცესზე (see *Lala v. the Netherlands*, 22 September 1994, § 33, Series A no. 297-A; *Poitrimol v. France*, 23 November 1993, § 35, Series A no. 277-A; and *De Lorenzo v. Italy* (dec.), no. 69264/01, 12 February 2004), და ბრალდებულის სასამართლო დარბაზში დასწრების უფლების უზრუნველყოფის ვალდებულება - როგორც პირველი ასევე, მეორე ინსტანციის წინაშე - მიჩნეულია მე-6 მუხლის ერთ-ერთ არსებით მოთხოვნად (see *Stoichkov v. Bulgaria*, no. 9808/02, § 56, 24 March 2005).

59. მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ არ არის ნახსენები მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში, მთლიანობაში მუხლის მიზანი ცხადყოფს, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ“ პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასამართლო საქმის მოსმენაში. უფრო მეტიც, მე-3 პუნქტის გ. დ. და ე პარაგრაფები „ყველა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულისთვის“ უზრუნველყოფენ, რომ „დაიკითხონ და დაკითხოს მოწმეები“ და რომ „იმ შემთხვევაში თუ იგი არ საუბრობს სასამართლოში გამოყენებული ენით, მიიღონ თარჯიმნის უფასო დახმარება“, ძნელია იმის დანახვა, თუ როგორ შეიძლება ამ უფლების გამოყენება სასამართლო სხდომაზე დასწრების გარეშე (see *Colozza v. Italy*, 12 February 1985, § 27, Series A no. 89, and *Sejdovic*, cited above, § 81).

60. თუმცა, ბრალდებულის პირადი დასწრება არ იძენს იმავე გადამწყვეტ მნიშვნელობას სააპელაციო განხილვისას, როგორც პირველი ინსტანციის წინაშე (see *Kamasinski*, cited above, § 106). მე-6 მუხლის გამოყენების წესი სააპელაციო სასამართლოში განხილვისას დამოკიდებულია პროცესის განსაკუთრებულ მახასიათებლებზე; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთლიანად ეროვნული სამართალწარმოება და მასში, სააპელაციო სასამართლოს როლი (see *Ekbatani v. Sweden*, 26 May 1988, § 27, Series A no. 134, and *Monnell and Morris v. the United Kingdom*, 2 March 1987, § 56, Series A no. 115).

61. სააპელაციო სასამართლოში დასაშვებობის შესახებ საქმისწარმოება და ასევე საქმისწარმოება კანონის საკითხებზე, ფაქტობრივ საკითხებთან განსხვავებით, შეიძლება შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს არ მიეცა შესაძლებლობა პირადად მოესმინათ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში, თუმცა, პირველ ინსტანციაში საჯარო განხილვა გაიმართა (see, among other authorities, *Monnell and Morris*, cited above, § 58, as regards the issue of leave to appeal, and *Sutter v. Switzerland*, 22 February 1984, § 30, Series A no. 74, as regards the court of cassation). თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საფუძველი იყო ის, რომ დაკავშირებულ სასამართლოებს არ ევალუბოდათ საქმის ფაქტების

დადგენა, არამედ მხოლოდ მასში არსებული სამართლებრივი საკითხების ინტერპრეტაცია (see *Ekbatani*, cited above, § 31).

62. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც სააპელაციო სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია, რომ განიხილოს საქმე როგორც ფაქტებთან ასევე კანონთან მიმართებაში, მე-6 მუხლი ყოველთვის არ მოითხოვს საჯარო განხილვის უფლების, მით უფრო, პირადად გამოცხადების უფლების უზრუნველყოფას (see *Fejde v. Sweden*, 29 October 1991, § 31, Series A no. 212-C). ამ საკითხის გადასაწყვეტად, სხვა მოსაზრებებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სადავო სამართალწარმოებების სპეციფიკური მახასიათებლები და მომჩივნის ინტერესების რეალურად წარმოჩენა და დაცვა სააპელაციო სასამართლოს წინაშე, განსაკუთრებით მის მიერ გადასაწყვეტი საკითხების ბუნებისა და მომჩივნისთვის მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით (see *Helmers v. Sweden*, 29 October 1991, §§ 31-32, Series A no. 212-A) and of their importance to the appellant (see *Kremzow*, cited above, § 59; *Kamasinski*, cited above, § 106 *in fine*; and *Ekbatani*, cited above, §§ 27-28).

63. უფრო მეტიც, დაკავებულ მომჩივანს არ გააჩნია იმავე ხასიათის შესაძლებლობები რაც თავისუფლებაში მყოფ ან სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში მყოფ სამოქალაქო მხარეს გააჩნია სააპელაციო პროცესზე დასწრების კუთხით. სპეციალური ტექნიკური ღონისძიებები, მათ შორის, უსაფრთხოების ზომები, უნდა იქნეს მიღებული, თუ ასეთი მომჩივანი უნდა დაესწროს საქმის მოსმენას სააპელაციო სასამართლოში (see *Kamasinski*, cited above, § 107).

64. თუმცა, როდესაც სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე ფაქტებთან და კანონთან მიმართებით და სრულად უნდა შეაფასოს ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხი, მას არ შეუძლია საკითხის დადგენა ბრალდებულისგან პირადად მიღებული მტკიცებულებების უშუალო შეფასების გარეშე, იმის დასამტკიცებლად, რომ მან არ ჩაიდინა ქმედება, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს (see *Dondarini v. San Marino*, no. [50545/99](#), § 27, 6 July 2004).

65. *Ekbatani*-ს საქმეში ამ პრინციპების გამოყენებისას სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სხდომაზე მოპასუხის დასწრება საჭირო იყო, რადგან საქმეზე სათანადო დასკვნის გამოტანა შეუძლებელი იყო მომჩივნის და მოსარჩელისგან პირადად მიღებული მტკიცებულებების გარეშე, ვინაიდან, ბრალდებულის ბრალეულობა ან უდანაშაულობა წარმოადგენდა მთავარ საკითხს სააპელაციო სასამართლოს წინაშე. ეს დასკვნა არ შეცვლილა იმით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაზარდა პირველ ინსტანციაში დაკისრებული სასჯელი (see, *mutatis mutandis*, *Dondarini*, cited above, § 28, and *De Biagi v. San Marino*, no. [36451/97](#), § 23, 15 July 2003).

66. თუმცა, *Kamasinski*-ს საქმეზე (§ § 107-08), ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ბ-ნ კამასინსკის უარი ეთქვა სასამართლო საქმის მოსმენაზე

მოყვანაზე, არ წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, იმის გათვალისწინებით, რომ ავსტრიის სააპელაციო სასამართლო განხილვები არ მოიცავდა მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევას ან ბრალდებულის ბრალეულობის ან უდანაშაულობის გადაფასებას. გარდა ამისა, ბ-ნი კამასინსკის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივრის საფუძვლები არ აყენებდა საკითხებს მის პიროვნებასთან და ხასიათთან დაკავშირებით და უზენაეს სასამართლოს არ გააჩნდა უფლებამოსილება დაეკისრებინა პირველ ინსტანციაზე უფრო მკაცრი სასჯელი.

67. სტრასბურგის სასამართლომ მსგავსი დასკვნები გააკეთა *Kremzow-ის* საქმეზე (§ 63), რომელშიც მომჩივანი დავობდა იმ ფაქტზე, რომ იგი არ ესწრებოდა საქართალწარმოებას უზენაესი სასამართლოს წინაშე, რომლიც ამოცანაც იყო დაედგინა, თუ რამდენად სათანადოდ განაცხადა პირველი ინსტანციის სასამართლომ მტკიცებულებების აღების შუამდგომლობაზე უარი და შეეძლო თუ არა ამ მტკიცებულებების ნაკლებობას გავლენა მოეხდინა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე. თუმცა, იმავე საქმეში (§ 67), სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოების სამართლიანობისთვის აარსებითი იყო მომჩივნის დასწრება სააპელაციო განხილვისას. ამ პროცესებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, რადგან ისინი მოიცავდნენ არა მხოლოდ მისი ხასიათის არამედ მისი მოტივის შეფასებასაც, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მისი სასჯელის სიმძიმეზე.

(b) სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულის უფლება ინფორმირებული იყოს მის მიმართ წაყენებული ბრალდების შესახებ

68. კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელსაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულში, უფლება აქვს, „დროულად, მისთვის გასაგებ ენაზე და დეტალურად იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ხასიათისა და საფუძვლების შესახებ“. მაშინ, როცა ეს დებულება არ აკონკრეტებს რომ შესაბამისი ინფორმაცია მიწოდებული უნდა იქნეს წერილობით ან უცხოელი ბრალდებულისთვის ითარგმოს წერილობით, იგი მიუთითებს ბრალდებულისადმი „ბრალის“ შეტყობინებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის აუცილებლობაზე. საბრალდებო დასკვნა გადამწყვეტ როლს თამაშობს სისხლის სამართლის პროცესში, რადგან ბრალდებულს ფორმალურად ეცნობება მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. ბრალდებული, რომელიც არ იცნობს სასამართლოს მიერ გამოყენებულ ენას, შეიძლება აღმოჩნდეს პრაქტიკულად არახელსაყრელ მდგომარეობაში, თუ საბრალდებო დასკვნა არ არის ნათარგმნი მისთვის გასაგებ ენაზე (see *Sejdovic*, cited above, § 89; *Kamasinski*, cited above, § 79; *Tabaï v. France* (dec.), no. [73805/01](#), 17 February

2004; and *Vakili Rad v. France*, no. [31222/96](#), Commission decision of 10 September 1997, unreported).

69. გარდა ამისა, მე-6 მუხლის მე-3 (ე) პუნქტში ნათქვამია, რომ თითოეულ ბრალდებულს აქვს თარჯიმნის უფასო დახმარების უფლება. ეს უფლება ეხება არა მხოლოდ სასამართლო სხდომაზე გაკეთებულ ზეპირ განცხადებებს, არამედ დოკუმენტურ მასალას და წინასასამართლო საქმისწარმოებებს. ეს ნიშნავს, რომ ბრალდებულს, რომელსაც არ ესმის ან არ ლაპარაკობს სასამართლოსი გამოყენებულ ენაზე, უფლება აქვს ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარების უფლებით, მის წინააღმდეგ აღძრული ყველა იმ დოკუმენტისა თუ განცხადების თარგმნის ან ინტერპრეტაციისათვის, რომელიც აუცილებელია მისთვის, რომ გაიგოს სასამართლოს ენა და ისარგებლოს სამსართლიანი სასამართლოს უფლებით (see *Luedicke, Belkacem and Koç v. Germany*, 28 November 1978, § 48, Series A no. 29).

70. თუმცა, მე-3 (ე) პუნქტი არ ფარავს ასევე იმ მოთხოვნას, რომ წერილობით ითარგმნოს სამართალწარმოება არსებული ყველა წერილობითი მტკიცებულება ან ოფიციალური დოკუმენტი. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი დებულებების ტექსტში მითითებულია „განმმართველი“ და არა „თარჯიმანი“. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ზეპირი ლინგვისტური დახმარება შეიძლება აკმაყოფილებდეს კონვენციის მოთხოვნებს (see *Husain v. Italy* (dec.), no. [18913/03](#), 24 February 2005). თუმცა, ფაქტი ფაქტა რჩება, რომ ინტერპრეტაციის დახმარება უნდა იყოს ისეთი, რომ ბრალდებული მის წინააღმდეგ არსებული საქმის შესახებ საქმის კურსში იყოს და იმისათვის, რომ დაიცვას საკუთარი თავი, სასამართლოს წინაშე წარადგინოს მოვლენების შესახებ საკუთარი ვერსია (see *Güngör v. Germany* (dec.), no. [31540/96](#), 17 May 2001). ამ უფლების პრაქტიკული და ქმედითუნარიანობის აუცილებლობის გათვალისწინებით, კომპეტენტური ორგანოების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ განმმართველის დანიშვნით, არამედ, თუ ისინი კონკრეტულ გარემოებებში ასევე შესაძლოა მოხდეს მიწილებული განმმართველის/ინტერპრეტაციის ხარისხის კონტროლი (see *Kamasinski*, cited above, § 74).

71. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მე-3(ე) პუნქტის გამოყენების კონტექსტში, ბრალდებულის ლინგვისტური ცოდნის საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და რომ მან ასევე უნდა შეისწავლოს დანაშაულის ბუნება რომელიც ეხება ბრალდებულს და ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც მიმართულია მის მიმართ ეროვნული ხელისუფლების მიერ, რათა შეფასდეს, არის თუ არა ისინი საკმარისად კომპლექსური, რათა მოითხოვოს სასამართლოში გამოყენებული ენის დეტალური ცოდნა (see, *mutatis mutandis*, *Güngör*, cited above).

72. და ბოლოს, მართალია, დაცვის მხარის წარმართვა არსებითად ბრალდებულისა და მისი ადვოკატის საქმეა, არ აქვს მნიშვნელობა ადვოკატი

იურიდიული დახმარების ფარგლებშია დანიშნული თუ იგი კერძოა (see *Kamasinski*, cited above, § 65, and *Stanford v. the United Kingdom*, 23 February 1994, § 28, Series A no. 282-A), საბოლოოდ, სამართალწარმოების სამართლიანობის მცველები (რაც, სხვა ასპექტებთან ერთად, მოიცავს ასევე თარგმნის ან ინტერპრეტაციის შესაძლო არარსებობას სხვა ეროვნების ბრალდებულისთვის) მაინც ეროვნული სასამართლოები არიან (see *Cuscani v. the United Kingdom*, no. [32771/96](#), § 39, 24 September 2002).

(c) სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლებაზე უარის თქმა

73. კონვენციის მე-6 მუხლის არც ჩანაწერი და არც შინაარსი არ უშლის პირს ხელს, საკუთარი თავისუფალი ნების საფუძველზე, ცალსახად ან უსიტყვოდ, უარი თქვას სამართლიანი სასამართლოს უფლებით გათვალისწინებულ გარანტიებზე (see *Kwiatkowska v. Italy* (dec.), no. 52868/99, 30 November 2000). თუმცა, ასეთი უარი, რათა იგი იყოს ეფექტიანი კონვენციის მიზნებისთვის, უნდა იყოს ცალსახად გამოხატული და უნდა ახლდეს მისი მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური გარანტიები (იხ. *პოიტრიმოლი*, ციტირებული ზემოთ). ამასთან, იგი არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში რომელიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესთან (see *Sejdovic*, cited above, § 86, and *Håkansson and Stureson v. Sweden*, 21 February 1990, § 66, Series A no. 171 A).

74. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, როდესაც სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს პირადად არ ეცნობა ამის შესახებ, მხოლოდ ამ ფაქტით არ შეიძლება დასკვნა გაკეთდეს იმის შესახებ, რომ იგი მიმალვაშია (ცნობილ იქნეს როგორც *latitante* - განზრახ თავს არიდებს სასამართლოს განჩინების აღსრულებას), მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით არასაკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე, რომ მან უარი თქვა საკუთარ უფლებაზე წარსდგეს სასამართლოს წინაშე და თავი დაიცვას (იხ. *კოლოზა*, ციტირებული ზემოთ, § 28). ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სანამ იმის თქმას შევძლებთ, რომ ბრალდებულმა აშკარად, საკუთარი ქცევით, უარი თქვა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან უფლებაზე, უნდა ჩანდეს, რომ მას გონივრულად შეეძლო განეჭვრიტა საკუთარი ქცევის შესაძლო შედეგები (see *Jones v. the United Kingdom* (dec.), no. 30900/02, 9 September 2003).

75. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს არ უნდა დაეკისროს იმის მტკიცების ტვირთი, რომ იგი არ ცდილობდა მართლმსაჯულებისთვის თავის არიდებას ან რომ მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით (იხ. *კოლოზა*, ციტირებულია ზემოთ, პ. 30). ამავედროულად, სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ შეაფასონ წარმოადგინა, თუ არა ბრალდებულმა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი ან საქმეში ხომ არ არის რაიმე ისეთი, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ მისი

გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო მისგან კონტროლს მოკლებული მიზეზებით (see Medenica, cited above, § 57; see also Sejdic, cited above, §§ 87-88).

76. დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი ადგილის გათვალისწინებით (see, among many other authorities, Delcourt v. Belgium, 17 January 1970, § 25 in fine, Series A no. 11), კონვენციის მე-6 მუხლი ყველა ეროვნულ სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, რომ შეამოწმონ ჰქონდა თუ არა ბრალდებულს შესაძლებლობა გაცნობოდა სასამართლო სხდომის თარიღსა და იმ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმაც საჭიროა მასში მონაწილეობის მისაღებად, როგორც მოცემულ შემთხვევაში, ეს სადავოა იმ საფუძველით, რომელიც მაშინვე არ ჩანს რომ საფუძველს მოკლებულია (see, mutatis mutandis, Somogyi v. Italy, no. 67972/01, § 72, ECHR 2004 IV). ეს თანაბრად ეხება გამარტივებული პროცესის კონტექსტსაც, როგორცაა მაგალითად გამარტივებული წარმოება როდესაც ბრალდებულმა უარი თქვა მის რიგ უფლებებზე.

2. მოცემული საქმისთვის ამ პრინციპების მისადაგება

77. სტრასბურგის სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ მომჩივანი წარდგენილი იყო რომის პირველი ინსტანციის სასამართლოს წინასასამართლო განხილვის მოსამართლის წინაშე და ესწრებოდა 2000 წლის 25 თებერვლისა და 24 მარტს სხდომებს. როგორც მომჩივანმა აღნიშნა, ეს სხდომები არ იყო საჯარო და იყო დახურული.

78. თუმცა, სასამართლომ შენიშნა ის ფაქტი, რომ სხდომის საჯაროდ ჩატარებლობა გამოწვეული იყო საქმის დაჩქარებული წესით, გამარტივებული სამართალწარმოება, რომელიც მომჩივანმა თავად ითხოვა საკუთარი ნებით. ასეთი პროცესის უპირატესობები ბრალდებულისთვის ექვგარეშეა: დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, არსებითად უფრო მცირე სასჯელი ეკისრება და ბრალდების მხარეს არ შეუძლია გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება, რაც დანაშაულებრივი ქმედების სამართლებრივ მახასიათებლებს არ ცვლის (see Articles 442 § 2 and 443 § 3 of the CCP – paragraph 28 above). სხვა მხრივ, გამარტივებული წარმოება იწვევს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო გარანტიების შემცირებას, კერძოდ სასამართლო სხდომათა საჯარო ხასიათისა და იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხთან მიმართებით, რომელსაც პროკურატურა არ ფლობს.

79. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანს, რომელსაც ეხმარებოდა საკუთარი სურვილით არჩეული ორი ადვოკატი, უდავოდ შეეძლო მის მიერ სწრაფი

სამართალწარმოების არჩევის მოსალოდნელი შედეგების გააზრება. უფრო მეტიც, არ ჩანს რომ ამ დავამ გააჩინა რაიმე კითხვა საჯარო ინტერესთან დაკავშირებით, რომელიც ზემოხსენებულ საპროცესო გარანტიებზე უარის თქმის შესაძლებლობას შეზღუდავდა (იხ. *კვიატკოვსკა*, ციტირებულია ზემოთ).

80. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ მან მიიღო სხვა მოსაზრებები, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლება გონივრულ ვადაში და თანმხლები საჭიროება სასამართლოს დატვირთვის გამკლავებისა და საქმეთა სწრაფი დამუშავებისა, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმის საჯარო განხილვის საჭიროების განსაზღვრისას, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდგომ ეტაპებზე ხდება (see, for example, *Helmerts*, cited above, § 36; *Jan Åke Andersson v. Sweden*, 29 October 1991, § 27, Series A no. 212 B; *Fejde*, cited above, § 31; and *Hoppe v. Germany*, no. 28422/95, § 63, 5 December 2002). გამარტივებული წარმოების შემოღება იტალიურ კანონმდებლობაში ცალსახად მიმართული იყო მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების გამარტივებისა და აჩქარებისკენ (see, *mutatis mutandis*, *Rippe v. Germany* (dec.), no. 5398/03, 2 February 2006).

81. ზემოხსენებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ის ფაქტი რომ სასამართლო განხილვები ჩატარდა დახურულ რეჟიმში, ანუ საზოგადოების წევრთა დასწრების გარეშე, ვერ ჩაითვლება კონვენციის დარღვევად. ჯერ კიდევ გასარკვევია წარმოადგენდა თუ არა მომჩივნის დაუსწრებლობა რომის სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 3 ნოემბრის განხილვაზე, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

82. იტალიური კანონმდებლობის თანახმად, მომჩივანს ჰქონდა უდავო უფლება დასწრებოდა სააპელაციო სასამართლოს განხილვას, იმ პირობით, რომ მას უნდა დაეყენებინა მოთხოვნა მისი სხდომის დარბაზში მიყვანის შესახებ. ეს ხელისუფლების მხრიდან სადავო არ არის, უფრო მეტიც, ეროვნული კანონმდებლობის კერძო განხილვებთან დაკავშირებული დებულებები ამ ყველაფერს ნათლად წარმოაჩენს. განსაკუთრებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის-ის 127-ე მუხლის მე-3 პუნქტი აწესებს „[ე]მტკიცებულება უნდა მოისმინოს ... შეტყობინების [მოსმენის თარიღის] სხვა მიმღებებისგან“.- კატეგორია, რომელიც ბრალდებულსაც მოიცავდა - „თუ ისინი გამოცხადდებიან სხდომაზე“ (იხ. 32-ე პარაგრაფი ზემოთ). CCP-ის 599-ე მუხლი აწესებს, რომ სხდომა უნდა გადაიდოს, თუ „ბრალდებული, რომელმაც სხდომაზე დასწრების სურვილი გამოხატა, აქვს დაუსწრებლობის კანონიერი საფუძველი“ (იხ. ზემოთ, 31-ე პარაგრაფი). რთული წარმოსადგენია, თუ როგორ

იქნებოდა ეს შესაძლებელი, კანონმდებელს ბრალდებულისთვის სააპელაციო განხილვის სხდომაზე დასწრების უფლება რომ არ მიეცა.

83. ეს აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულის დასწრება სააპელაციო სხდომაზე აუცილებელია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით, ვინაიდან ამ დებულებით დაწესებული მოთხოვნები არის ავტონომიური ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით.

84. რომის სააპელაციო სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება გამოეტანა გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ასპექტებზე, რომლებიც მითითებულია საჩივრის საფუძვლებში. მომჩივანი საჩივრის საფუძვლებში შემოიფარგლებოდა იმ არგუმენტების გამეორებით, რომლებიც წარმოადგინა საკუთარ დაცვაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლის წინაშე, კერძოდ, რომ მის მფლობელობაში არსებული ნარკოტიკი იყო მისი პირადი გამოყენებისათვის. ის ასევე ამტკიცებდა, რომ ნარკოტიკების შესახებ კანონმდებლობის ინტერპრეტაცია არაკონსტიტუციური იყო. გარდა ამისა, 2000 წლის 23 ოქტომბერს წარდგენილ საჩივრებში მომჩივნის ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ ნარკოტიკების ექსპერტის ქიმიური ანალიზი ბათილი იყო პროცედურული ხარვეზების გამო.

85. ევროპული სასამართლოს აზრით, ეს საფუძვლები ძირითადად ეხებოდა დანაშაულის სამართლებრივ დასახიათებას და ნარკოტიკების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და ექსპერტთა დასკვნის მართებულობას. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ მომჩივანს ჰქონდა ნარკოტიკები, არ იყო სადავო გასაჩივრების ეტაპზე (see, *mutatis mutandis*, Fejde, cited above, § 33). მომჩივანი დააკავეს დანაშაულის ადგილზე და მას სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ უცდია მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების ფაქტობრივი საფუძვლის უარყოფა. კერძოდ, რამდენადაც აპელაციის ეტაპზე მომჩივანი განაგრძობდა იმის მტკიცებას, რომ მის მფლობელობაში აღმოჩენილი ნარკოტიკები გამიზნული იყო მისი პირადი სარგებლობისთვის და არა გასაყიდად (მიუხედავად იმისა, რომ საპირისპირო ჩანდა) მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რაოდენობა უტოლდებოდა ოც წელზე მეტი ხნით საშუალო მოხმარებისთვის საჭირო ოდენობას, სტრასბურგის სასამართლო ვერ ხედავს თუ რა გავლენას მოახდენდა მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სხდომაზე მომჩივნის ფიზიკური ყოფნა ნარკოტიკებით ვაჭრობის დანაშაულის დახასიათებაზე, რომელიც საფუძვლად დაედო მის ნასამართლეობას.

86. სტრასბურგის სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ იმის გამო, რომ პროკურატურამ ვერ გაასაჩივრა მსჯავრდებულის გადაწყვეტილება, რომელიც არ ცვლიდა დანაშაულის დახასიათებას, რომის სააპელაციო სასამართლოს არ

ჰქონდა უფლება გაეზარდა მომჩივნის სასჯელი. სასამართლოს შეეძლო დაეტოვებინა პირველი ინსტანციით დაკისრებული სასჯელი, შეემცირებინა იგი ან გაემართლებიდა მომჩივანი. ამ მხრივ წინამდებარე საქმე განსხვავდება ზემოთ მოყვანილი *Kremzow-ის* საქმისგან.

87. საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ გამარტივებული საქმისწარმოების მიხედვით, რომელიც მოთხოვნილი იყო მომჩივნის მიერ, ახალი მტკიცებულებების წარდგენა გამოირიცხა, ვინაიდან გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდა პროკურატურის ფაილებში არსებულ დოკუმენტაციას (იხ. Articles 438 § 1 and 442 § 1 *bis* of the CCP – paragraph 28 above). მართალია, ზემოხსენებული 438-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით - დაცვის მხარეს შეუძლია თავისი მოთხოვნა გამარტივებული საქმისწარმოების დამტკიცების თაობაზე დაექვემდებაროს სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ახალი მტკიცებულებების მიღებას. მიუხედავად ამისა, ამ საქმესთან მიმართებით, ეს ასე არ მოხდა რადგან მომჩივანი დათანხმდა გადაწყვეტილებას რომელიც მიღებული იყო მხოლოდ ხელისუფლების მხარის მიერ წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, მან იცოდა ან მისი ადვოკატებისგან უნდა სცოდნოდა, რომ სააპელაციო საქმის მოსმენა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მხარეთა არგუმენტაციის შეფასებით, ახალი მტკიცებულებების დამატებისა და მოწმეთა დაკითხვების გარეშე.

88. ზემოთქმულიდან გამომდინარე, და მოცემული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი მონაწილეობას იღებდა პირველი ინსტანციის განხილვის ეტაპზე და, რომ ეს საქმისწარმოებები იყო შეჯიბრებით ხასიათის, კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნები არ მოითხოვდა მომჩივნის დასწრებას სააპელაციო სხდომაზე.

89. ეს დასკვნა საკმარისი საფუძველია იმ დასკვნისათვის, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. ნებისმიერ შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ მომჩივანს კონვენციის მიხედვით ჰქონდა უფლება გამოცხადებულიყო 2000 წლის 3 ნოემბრის მოსმენაზე, იგი სათანადოდ იყო ინფორმირებული ამ მოსმენის თარიღის შესახებ და უარი თქვა ამ უფლებით სარგებლობაზე.

90. რაც შეეხება ბოლო პუნქტს და პალატისგან განსხვავებით, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მომჩივანი საკმარისად ფლობდა იტალიურ ენას, რათა გაეგო სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ შეტყობინების მნიშვნელობის გასაგებად. იგი აღნიშნავს, რომ 2000 წლის 25 თებერვალსა და 24 მარტს პირველი ინსტანციის მოსმენაზე მომჩივანმა თავად განაცხადა, რომ მას შეეძლო იტალიურად საუბარი და რომ ესმოდა მის

წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების შინაარსი და მტკიცებულებები. ამ განცხადების ჭეშმარიტება და ის ფაქტი, რომ ის სპონტანურად იყო გაკეთებული, არ იყო სადავო მომჩივნის ან მისი ადვოკატების მიერ ეროვნული სასამართლო საქმისწარმოების დროს. უფრო მეტიც, როგორც მთავრობამ მართებულად აღნიშნა, სააპელაციო განხილვის დროს მომჩივანი ცხოვრობდა იტალიაში სულ მცირე ათი წლის განმავლობაში და როდესაც ის დააპატიმრეს 1999 წელს, შეეძლო კარაბინერებისთვის მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებების ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ დეტალების მიწოდება.

91. სტრასბურგის სასამართლოს აზრით, ეს ელემენტები საკმარის საფუძველს აძლევდა ადგილობრივ სასამართლო ხელისუფლებას იმის დასაჯერებლად, რომ მომჩივანს შეეძლო აღექვა ინფორმაციული ცნობის მნიშვნელობა, რომელიც აცნობებდა მას სასამართლო მოსმენის თარიღის შესახებ და რომ საჭირო არ იყო რაიმე თარგმანის ან ინტერპრეტაციის მოწოდება. ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ როგორც ჩანს, მომჩივანმა არ აცნობა ციხის ადმინისტრაციას სადავო დოკუმენტების გაგებისას რაიმე სირთულის შესახებ.

92. სამწუხაროა, რომ შეტყობინებაში არ იყო მითითებული, რომ მომჩივანს სასამართლო მოსმენამდე 5 დღით ადრე ევალებოდა მოეთხოვა სხდომის დარბაზში მიყვანა. თუმცა, სახელმწიფო არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ბრალდებულის უფლებებისა და შესაძლებლობების დეტალურ ახსნაზე. ბრალდებულის ადვოკატმა უნდა აცნობოს კლიენტს მის საქმისწარმოების პროგრესისა და მისი უფლებების დასაცავად გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

93. წინამდებარე საქმეში, მომჩივანს ეცნობა სააპელაციო საქმის განხილვის თარიღი 2000 წლის სექტემბერს, ანუ სხდომამდე თვეზე მეტი ხნით ადრე. იგივე მოხდა მომჩივნის ადვოკატის შემთხვევაშიც. ამ დროის განმავლობაში, მომჩივნის ადვოკატებმა არ ჩათვალეს საჭიროდ დაკავშირებოდნენ თავიანთ კლიენტს. საქმის მასალებში არაფერია მითითებული იმის შესახებ, რომ მომჩივანი ცდილობდა მათთან დაკავშირებას.

94. სტრასბურგის სასამართლოს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს მომჩივანსა და მის ადვოკატებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა. საქმის განხილვაზე მიყვანის მოთხოვნის და ასეთი მოთხოვნის წარდგენისათვის ვადისა და ღონისძიებების შესახებ ზუსტ ახსნა-განმარტებებს შეეძლო გაეფანტა მომჩივნის ნებისმიერი ეჭვი, რომელიც ამ საკითხთან მიმართებით შესაძლოა გასჩენოდა. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 599-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის ფორმულირებიდან და საკასაციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ირკვევა, რომ პატიმარმა, რომელსაც სურს დაესწროს სააპელაციო საქმის განხილვას გამარტივებული საქმისწარმოების ფარგლებში, უნდა აცნობოს სხდომაზე დასწრების სურვილის შესახებ სულ მცირე ხუთი დღით ადრე. ამის შესახებ იცოდნენ მომჩივნის ადვოკატებმა.

95. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (გ) ქვეპუნქტი ყველა სისხლის

სამართლის ბრალდებულს ანიჭებს უფლებას, რომ „დაიცვან საკუთარი თავი პირადად ან იურიდიული დახმარების საშუალებით...“, ის არ აკონკრეტებს ამ უფლების გამოყენების წესს. ამრიგად, ის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უტოვებს არჩევანის საშუალებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მის დაცვას მათ სასამართლო სისტემებში, სტრასბურგის სასამართლოს ამოცანაა მხოლოდ დაადგინოს, შეესაბამება თუ არა მათ მიერ არჩეული მეთოდი სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებს (see *Quaranta v. Switzerland*, 24 May 1991, § 30, Series A no. 205). ამასთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონვენცია მიზნად ისახავს „უზრუნველყოს არა თეორიული ან მოჩვენებითი უფლებები, არამედ უფლებები, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტურია“ და რომ ადვოკატის დანიშვნა თავისთავად არ უზრუნველყოფს იმ დახმარების ეფექტურობას, რომელიც მან შეუძლია გაუწიოს ადვოკატს (see *Imbrioscia v. Switzerland*, 24 November 1993, § 38, Series A no. 275, and *Artico v. Italy*, 13 May 1980, § 33, Series A no. 37).

96. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი იურიდიული დახმარების მიზნით დანიშნული ან ბრალდებულის მიერ დანიშნული ადვოკატის ყველა ხარვეზზე. კომპეტენტურ ეროვნული ორგანოებს მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის მიხედვით მოეთხოვებათ ჩაერიონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული დახმარების ადვოკატის მიერ ეფექტური წარმომადგენლობის წარუმატებლობა აშკარაა ან სხვა მხრივ იქცევა მათ ყურადღებას (see *Daud v. Portugal*, 21 April 1998, § 38, *Reports of Judgments and Decisions* 1998-II, and *Sannino v. Italy*, no. 30961/03, § 49, ECHR 2006-VI).

97. წინამდებარე საქმეში, მომჩივანმა არ გააფრთხილა ხელისუფლება მისი დაცვის მომზადებისას წარმოქმნილი სირთულეების შესახებ. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლოს აზრით, მომჩივნის ადვოკატის ნაკლოვანებები აშკარა არ ყოფილა. შესაბამისად, ეროვნული ხელისუფლება არ იყო ვალდებული ჩარეულიყო ან მიეღო ზომები მოპასუხის ადეკვატურად წარმოდგენისა და დაცვის უზრუნველსაყოფად (see, conversely, *Sannino*, cited above, § 51).

98. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ რომის სააპელაციო სასამართლომ მომჩივნის უმოქმედობა სხდომის დარბაზში გადაყვანის თაობაზე, არსებითან განმარტა, როგორც ნაგულისხმევი უარის თქმა მისი მხრიდან სააპელაციო საქმის მოსმენაში მონაწილეობაზე. წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს იყო გონივრული და არა თვითნებური დასკვნა.

99. ამასთან დაკავშირებით, იგი აღნიშნავს, რომ მომჩივნის ვალდებულება, ნათლად გამოეხატა საქმის მოსმენაზე წარდგენის სურვილი, არ მოიცავდა რაიმე განსაკუთრებით რთული ფორმალობების დასრულებას. უფრო მეტიც, პატიმრის გადაყვანა უსაფრთხოების ზომებს მოითხოვს და წინასწარ უნდა

მოწესრიგდეს. ამიტომ, გადაყვანის მოთხოვნის წარდგენის მკაცრი ვადა გამართლებულია.

100. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა დამატებითი მითითებები, რომლებიც აძლიერებდა დასკვნას, რომ მომჩივანს არ სურდა მონაწილეობა მიეღო სააპელაციო განხილვაში. პირველ რიგში, საქმის მასალებში არაფერია მითითებული, რომ სხდომის დღეს, როცა ის მიხვდა, რომ იგი არ გადაყვდათ სხდომის დარბაზში, მან ეს ფაქტი გააპროტესტა ციხის ხელმძღვანელობასთან. მეორე, 2000 წლის 23 ოქტომბრის შუამდგომლობებში, რომლებიც შეიტანეს სააპელაციო სასამართლოს რეესტრში სხდომის დაწყების თარიღამდე სულ რაღაც თერთმეტი დღით ადრე, მომჩივნის ადვოკატებმა არ მოითხოვეს ბ-ნი ჰერმის სხდომის დარბაზში გადაყვანა.

101. მართალია ის, რომ სააპელაციო სხდომაზე ბ-ნი მარინი აპროტესტებდა საქმისწარმოებას მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაუსწრებლად. თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს აზრით, ეს შეწინააღმდეგება მოხდა გვიან ეტაპზე და მას მხარს არ უჭერდა თავად მოპასუხის რაიმე განცხადება.

102. ზემოაღნიშნულის და განსაკუთრებით, მომჩივნის ადვოკატების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ იტალიის სასამართლო ხელისუფლებას უფლება ჰქონდა დაესკვნა, რომ მომჩივანმა უარი განაცხადა დუმილით, მაგრამ ცალსახად, სხდომაზე გამოცხადების უფლებაზე. უფრო მეტიც, მომჩივანს შეეძლო ესარგებლა ამ უფლებით, ზედმეტი ფორმალობების გარეშე.

103. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.